ტრადიცია ძალაში რჩება

კიშინიოვი. რესპუბლიკური სტადიონი. 2 მაისი.

“მოლდოვა” (კიშინიოვი) - “დინამო” (თბილისი) - 1:0 (0:0).

“დინამო”: ლეჟავა, ბ. სიჭინავა, ზეინკლიშვილი, პეტრიაშვილი, ცხოვრებოვი, იამანიძე, მეტრეველი, ხუციშვილი (აფშევი), ბარქაია, გ. სიჭინავა, მესხი.

“მოლდოვა”: ვებერი, აფონინი, ლარინი, კოლბასიუკი, კრასნოვი, მარარიცა, ბოცანი, პაპელიშვილი, გორშკოვი (ზელენიაევი), ცინკლერი, შიმანოვიჩი.

მსაჯი: ს. არხიპოვი (მოსკოვი).

კიშინიოვის “მოლდოვა” ყოველთვის ძნელ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდა თბილისელთათვის. ეტყობა, ეს თავისებური “ტრადიცია” ამჯერადაც ძალაში რჩება, ვინაიდან დინამოელებმა მოლდავეთის დედაქალაქში დატოვეს უაღრესად საჭირო 2 ქულა და ამასთან ვერ შეძლეს თუნდაც ერთი ბურთის გატანა.

დინამოელთა უპირატესობა ტექნიკაში და საერთო კლასში შესამჩნევი იყო პირველივე წუთებიდან, მაგრამ მათს იერიშებში რატომღაც არ იგრძნობოდა სიმწვავე და თავდამსხმელები ბევრ დროს კარგავდნენ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე. ლიდერი შეტევას ძირითადად აწარმოებდა მარჯვენა ფლანგიდან, სადაც “მოლდოვამ” გაძლიერებული დაცვა მიუჩინა მეტრეველს, სხვა თბილისელი თავდამსხმელები კი არ იჩენდნენ სათანადო აქტივობას.

კიშინიოველთა საპასუხო იერიშები გაცილებით უფრო იშვიათი, მაგრამ სახიფათო იყო. მე-10 და მე-12 წუთებზე ლეჟავას ორი მეტად ძნელი ბურთის აღება მოუხდა მოწინააღმდეგე ფორვარდებისაგან.

მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა, რომელიც შიმანოვიჩმა გაიტანა მეორე ტაიმის პირველივე წუთზე. მარარიცამ ბურთი გადასცა პაპელიშვილს, მან შიმანოვიჩს და საკუთარ საჯარიმო მოედანზე მყოფი 6 დინამოელი მხოლოდ პასიური მოწმე იყო იმისა, თუ როგორ გაგზავნა ბურთი კარში შიმანოვიჩმა - 1:0. 71-ე წუთზე ბარქაია უხეში თამაშისათვის მინდვრიდან გააძევეს.

შემდგომში “მოლდოვას” კარი არაერთხელ იმყოფებოდა სახიფათო მდგომარეობაში. დინამოელები უტევდნენ 6-7 მოთამაშის შემადგენლობით, იერიშში მონაწილეობდა ბ. სიჭინავაც და მაინც ყველაფერს ამას შედეგი არ მოუცია. იგრძნობოდა ნერვიულობა და ზედმეტი ნაჩქარეობა.

თბილისელებმა ვერ შეძლეს საპასუხო გოლის გატანა და დამარცხდნენ - 0:1.

ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრა დამთავრდა ფრედ - 1:1.

ვ. ბოგაჩოვი.

“ლელო”, 5 მაისი, 1964 წ.